

დამტკიცებულია: შპს მრავალპროფილიანი საზოგადოებრივი კოლეჯი იმედის  
დირექტორის 2019 წლის 20 ივლისი N 36 ბრძანებით

შეტანილია ცვლილება შპს მრავალპროფილიანი საზოგადოებრივი კოლეჯი იმედის  
დირექტორის 2020 წლის 20 თებერვლის N 3 ბრძანებით  
შეტანილია ცვლილება შპს მრავალპროფილიანი საზოგადოებრივი კოლეჯი იმედის  
დირექტორის 2020 წლის 14 ივნისის N 14 ბრძანებით  
შეტანილია ცვლილება შპს მრავალპროფილიანი საზოგადოებრივი კოლეჯი იმედის  
დირექტორის 2021 წლის 15 მარტის N 15 ბრძანებით  
შეტანილია ცვლილება შპს მრავალპროფილიანი საზოგადოებრივი კოლეჯი იმედის  
დირექტორის 2021 წლის 07 აგვისტოს N 71 ბრძანებით  
შეტანილია ცვლილება: შპს მრავალპროფილიანი საზოგადოებრივი კოლეჯი იმედის  
დირექტორის 2022 წლის 30 დეკემბერი N 84 ბრძანებით



დირექტორი: ი. იორამაშვილი

**შპს მრავალპროფილიანი საზოგადოებრივი კოლეჯი იმედი**

**საგანმანათლებლო პროგრამა: *საექონო საქმე***

ქ.თბილისი 0144; წმინდა ქეთევან დედოფლის გამზირი 47/49 ბოჭორმის 8

ტელ: +995 99 952828

ვებ- გვერდი: [www.imediprof.edu.ge](http://www.imediprof.edu.ge); ელ-ფოსტა: [collegeimedi@gmail.com](mailto:collegeimedi@gmail.com) [info@imediprof.edu.ge](mailto:info@imediprof.edu.ge)

პროგრამის ხელმძღვანელ(ებ): თამარ შარაშენიძე; ბორის ოსიპიანი

1. საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება ქართულ და ინგლისურ ენაზე - **საექთნო საქმე/ Nursing**

2. დამტკიცების/ცვლილების თარიღი: 21.05.2018 / 31.01.2019 / 07.02.2019 / 22.02.2019 / 16.04.2019 / 19.02.2020 / 11.02.2021/15.09.2021

3. სარეგისტრაციო ნომერი **09109-პ**

4. მისანიჭებელი კვალიფიკაცია ქართულ და ინგლისურ ენაზე

**„უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია საექთნო საქმეში/ Higher Vocational Qualification in Nursing.“**

5. მიზანი

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია, უზრუნველყოს ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზარზე კონკურენტუნარიანი, ზოგად მოვლაზე პასუხისმგებელი ექთანი.

6. დაშვების წინაპირობა - სრული ზოგადი განათლება

7. დასაქმების სფერო და შესაძლებლობები:

საექთნო საქმეში კვალიფიკაციის მფლობელს შეუძლია დასაქმდეს ჯანდაცვის სფეროში, სხვადასხვა პროფილის სამედიცინო დაწესებულებებში, შინმოვლის სფეროში, სხვა ტიპის ორგანიზაციებში, რომლებიც საჭიროებს საექთნო მომსახურებას.

➤ ეკონომიკური საქმიანობების სახეების ეროვნული კლასიფიკატორის კოდები: 86.1; 86.10; 86.10.0; 86.2; 86.21; 86.21.0; 86.22; 86.220; 86.23; 86.23.0; 86.9; 86.90; 86.90.0.

➤ დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორის (ISCO) კოდი: 3221

8. სტრუქტურა და მოდულები

საექთნო საქმის საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს 180 კრედიტის რაოდენობის ზოგად და პროფესიულ მოდულებს. ზოგად მოდულთა კრედიტების რაოდენობა შეადგენს 9 კრედიტს, ხოლო პროფესიული მოდულების კრედიტების რაოდენობა კი 171. საექთნო საქმეში კვალიფიკაციის მინიჭებისთვის პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს არანაკლებ 180 კრედიტი.

მოდულები კლასიფიცირებულია შემდეგნაირად:

- ზოგადი მოდულები - 9 კრედიტი;
- თეორიული სწავლება საბაზო მეცნიერებები - 24 კრედიტი;
- თეორიული სწავლება საექთნო საქმე - 45 კრედიტი;
- თეორიული სწავლება სოციალური მეცნიერებები - 6 კრედიტი;
- პრაქტიკული სწავლება - 6 კრედიტი;

- კლინიკური სწავლება - 90 კრედიტი.

იმ პირებისთვის, რომელთაც უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია

- მოცულობა: 180 კრედიტი;
- სწავლის სავარაუდო ხანგრძლივობა: 32 სასწავლო თვე.

საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს როგორც თეორიულ და პრაქტიკულ, ასევე - კლინიკური სწავლების კომპონენტსაც. სწავლება-სწავლის პროცესის ხანგრძლივობაა სამი წელი, სრული დატვირთვით<sup>1</sup>. საგანმანათლებლო დაწესებულება პასუხისმგებელია თეორიული და კლინიკური მეცადინეობის დაგეგმვა-კოორდინაციაზე. საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კლინიკური სწავლება სრული მოცულობის ნახევარს (90 კრედიტი) შეადგენს. ამასთან, კლინიკური სწავლების გარდა, პრაქტიკის ობიექტზე გათვალისწინებულია სხვა კომპონენტების განხორციელებაც.

საექთნო საქმე		
ზოგადი მოდულები		
№	მოდულის დასახელება	კრედიტი
1	საინფორმაციო ტექნოლოგიები-საექთნო საქმეში	2
2	კომუნიკაცია საექთნო საქმეში	2
3	უცხოური ენა - საექთნო საქმეში (ინგლისური ენა)	5
	ჯამი:	9
თეორიული სწავლება - საბაზო მეცნიერებები		

<sup>1</sup>სრული დატვირთვა პრაქტიკული და კლინიკური სწავლებისას კვირაში არანაკლებ 35 საათისა

<i>№</i>	<i>მოდულის დასახელება</i>	<i>კრედიტი</i>
1	ჰისტოლოგია	2
2	ბიოქიმია	4
3	მიკრობიოლოგია	4
4	ანატომია-ფიზიოლოგია	10
5	პათოლოგია (პათანატომია-პათფიზიოლოგია)	4
	<i>ჯამი:</i>	24

*თეორიული სწავლება საექთნო საქმე*

<i>№</i>	<i>მოდულის დასახელება</i>	<i>კრედიტი</i>
1	დოზირების პრინციპები საექთნო საქმეში	4
2	ფარმაკოლოგია	5
3	ტერმინოლოგია და დოკუმენტაცია საექთნო საქმეში	2
4	ინფექციის კონტროლის საფუძვლები	2
5	გერონტოლოგია და გერიატრიის საფუძვლები	3
6	ქირურგიული პაციენტის საექთნო მართვის საფუძვლები	6
7	თერაპიული პაციენტის საექთნო მართვის საფუძვლები	7
8	გადაუდებელი პაციენტის საექთნო მართვის საფუძვლები	3
9	კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექთნო მართვის საფუძვლები და ანესთეზია	5

10	სამეანო და გინეკოლოგიური პაციენტის საექთნო მართვის საფუძვლები	2
11	პედიატრია და მოზარდები	3
12	ფსიქიკური ჯანმრთელობა და ფსიქიატრია	3
	<i>ჯამი:</i>	45

*თეორიული სწავლება სოციალურ მეცნიერებებში*

<i>№</i>	<i>მოდულის დასახელება</i>	<i>კრედიტი</i>
1	საექთნო პრაქტიკის პრინციპები სხვადასხვა ტიპის სამედიცინო დაწესებულებებში	1
2	სამართლებრივი ასპექტები საექთნო საქმეში	3
3	საექთნო მენეჯმენტის საფუძვლები	2
	<i>ჯამი:</i>	6

*პროფესიული მოდულები - პრაქტიკული სწავლება  
(ხორციელდება როგორც საგანმანათლებლო დაწესებულებაში, ასევე კლინიკაში)*

<i>№</i>	<i>მოდულის დასახელება</i>	<i>კრედიტი</i>
1	ავადმყოფის მოვლა	4

2	შინმოვლა	2
	ჯამი:	6

პროფესიული მოდულები - კლინიკური სწავლება		
№	მოდულის დასახელება	კრედიტი
1	კლინიკური პრაქტიკა - ქირურგიული პაციენტის საექთნო მართვა	11
2	შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - ქირურგიული პაციენტის საექთნო მართვა	6
3	კლინიკური პრაქტიკა - თერაპიული პაციენტის საექთნო მართვა	11
4	შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - თერაპიული პაციენტის საექთნო მართვა	6
5	კლინიკური პრაქტიკა- გადაუდებელი პაციენტის საექთნო მართვა	10
6	შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - გადაუდებელი პაციენტის საექთნო მართვა	5
7	კლინიკური პრაქტიკა - კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექთნო მართვა	12
8	შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექთნო მართვა	4
9	კლინიკური პრაქტიკა - სამეანო და გინეკოლოგიური პაციენტის საექთნო მართვა	6
10	შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - სამეანო და გინეკოლოგიური პაციენტის საექთნო მართვა	3
11	კლინიკური პრაქტიკა- პედიატრია და მოზარდები	7
12	შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - პედიატრია და მოზარდები	3
13	კლინიკური პრაქტიკა - ფსიქიკური ჯანმრთელობა და ფსიქიატრია	3

14	შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - ფსიქიკური ჯანმრთელობა და ფსიქიატრია	3
	ჯამი:	90

**9. სწავლის შედეგები:**

კურსდამთავრებულს შეუძლია:

1. შეაფასოს პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობა;
2. განახორციელოს თერაპიული პაციენტის საექთნო მართვა;
3. განახორციელოს ქირურგიული პაციენტის საექთნო მართვა;
4. განახორციელოს გადაუდებელი პაციენტის საექთნო მართვა;
5. განახორციელოს კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექთნო მართვა;
6. განახორციელოს პერიოპერაციული პაციენტის საექთნო მართვა;
7. განახორციელოს სამეანო და გინეკოლოგიური პაციენტის საექთნო მართვა;
8. განახორციელოს პედიატრიული პაციენტის საექთნო მართვა;
9. განახორციელოს და უზრუნველყოს შინმვლის მომსახურების გაწევა;
10. განახორციელოს და უზრუნველყოს გერიატრიული პაციენტის საექთნო მართვა;
11. დაგეგმოს და განახორციელოს საკუთარი პრაქტიკისა და მოვლის ხარისხის შეფასება.

**10. სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება**

სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურება შესაძლებელია განმავითარებელი და/ან განმსაზღვრელი შეფასებით. განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე - ჩათვლის პრინციპის გამოყენებით.

განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

- ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;
- ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

კლინიკური სწავლების მოდულების შეფასების ინსტრუმენტად და მტკიცებულებად, ტრადიციული ინსტრუმენტების ალტერნატივად, შესაძლებელია გამოყენებულ იქნას პროფესიული სტუდენტის მიერ დეტალურად შევსებული და კლინიკური მოდულის განმახორციელებელი პირის მიერ ხელმოწერით დადასტურებული ჩანაწერების ჟურნალი, განმსაზღვრელი შეფასებისას, უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება. შეფასების მეთოდი/მეთოდები, რეკომენდაციის სახით, მოცემულია მოდულებში.

### **11. კვალიფიკაციის მინიჭება**

კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს საგანმანათლებლო პროგრამაში - საექთნო საქმე, განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული 180 კრედიტი, მონაწილეობა მიიღოს შუალედურ შეფასებაში და ჩააბაროს საკვალიფიკაციო გამოცდა.

### **12. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პირის სწავლებისათვის**

შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე.

საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტები პირს ენიჭება მხოლოდ შესაბამისი სწავლის შედეგების დადასტურების შემთხვევაში, ხოლო კვალიფიკაცია მე-10 პუნქტით გათვალისწინებული წესით.

### **13. ქართული ენა A2 და ქართული ენა B1**

საექთნო განათლების საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს, როგორც თეორიულ და პრაქტიკულ, ასევე - კლინიკური სწავლების კომპონენტსაც. სწავლება-სწავლის პროცესის ხანგრძლივობა არის სამი წელი.

„მოდულების, ქართული ენა A2 და ქართული ენა B1 გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პირებისთვის, რომლებსაც არ უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით.

- ქართული ენა A2 15 კრედიტი
- ქართული ენა B1 15 კრედიტი

იმ პირებისთვის, რომელთაც არ უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია

- მოცულობა: 210 კრედიტი
- სწავლის სავარაუდო ხანგრძლივობა: 38 სასწავლო თვე

### **14. კლინიკური სწავლების განხორციელების თავისებურებები და განმახორციელებელი პირის საკვალიფიკაციო მოთხოვნები**

კლინიკური სწავლება არის ექთნის მომზადების ის ნაწილი, სადაც მომავალი ექთანი, როგორც გუნდის წევრი, ჯანმრთელ პირებთან და პაციენტებთან ან/და თემთან პირდაპირი კონტაქტის საშუალებით უკვე შეძენილი ცოდნითა და უნარებით ერთვება რეალურ სამუშაო გარემოში. კლინიკური სწავლება-სწავლა საავადმყოფოებსა ან/და სხვა სამედიცინო დაწესებულებებში, საზოგადოებაში, მოსახლეობაში უნდა მიმდინარეობდეს საექთნო საქმის პროფესიული განათლების მასწავლებლებისა და სხვა კვალიფიციური ექთნების ზედამხედველობის ქვეშ.

კლინიკური სწავლების განმახორციელებელი პირის, როგორც პროფესიული განათლების მასწავლებლის მიმართ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საკვალიფიკაციო მოთხოვნების განსაზღვრამდე კლინიკურ სწავლა-სწავლების პროცესში პრაქტიკის ობიექტის მხრიდან ჩართული ექთნები უნდა აკმაყოფილებდნენ შემდეგ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს:



**კლინიკურ სწავლება-სწავლის პროცესში ჩართული ექთნების საკვალიფიკაციო მოთხოვნები**

განათლება	საექიმო/სამედიცინო უმაღლესი განათლება/ზეზბიუჯალის პროფესიული ან უმაღლესი განათლება/საექთნო საქმეში პროფესიული ან უმაღლესი განათლება
სამუშაო გამოცდილება	საექთნო სფეროში მუშაობის არანაკლებ 3 წლიანი გამოცდილება და პროფესიული სტუდენტებისათვის შესაბამისი კლინიკური მოდულით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია

კლინიკური სწავლება-სწავლის მიმართ დამატებითი მოთხოვნა

კლინიკური სწავლება-სწავლის განმახორციელებელი პირის და პროფესიული სტუდენტების თანაფარდობა - 1/7.

**15. პრაქტიკის ობიექტის კრიტერიუმები**

პრაქტიკის ობიექტს კანონმდებლობით დადგენილი წესით უნდა გააჩნდეს კლინიკური სწავლების მოდულით გათვალისწინებული მიმართულებით საქმიანობის უფლება, რაც დასტურდება შესაბამისი მარეგულირებლის მიერ გაცემული ოფიციალური დოკუმენტით.

**16. საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების სამართლებრივი საფუძვლები**

- საქართველოს კანონი - „პროფესიული განათლების შესახებ“;
- ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო

პროფესიული სტანდარტები:

- პრაქტიკოსი ექთანი
- ექთნის თანაშემწე

დარგის მარეგულირებელი საერთაშორისო აქტები/სტანდარტები:

- ევროპის პარლამენტისა და ევროკავშირის საბჭოს 2005/36/EC რეგულაცია
- ევროპის პარლამენტისა და ევროკავშირის საბჭოს 2013/55/EU რეგულაცია

კლასიფიკატორები:

- საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორი - ეკონომიკური საქმიანობის სახეები (2016 წ.)
- დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორი (ISCO)
- განათლების საერთაშორისო კლასიფიკატორი (ISCED)

ჩარჩო დოკუმენტი:

- საექთნო განათლება 09109-პ. დოკუმენტი დამტკიცებულია 2018 წლის 21 მაისს, ბრძანება N407/ი, ბოლო ცვლილება განხორციელებულია 2019 წლის 16 აპრილს, ბრძანება N274/ი

<sup>4</sup> <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3192567>

17. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პრაქტიკის ობიექტები:

1. შპს „პინეო სამედიცინო ეკოსისტემა“
2. აკადემიკოს ნ. ყიფშიძის სახელობის ცენტრალური საუნივერსიტეტო კლინიკა
3. შპს „დავით გაგუას კლინიკა“
4. კლინიკა „ნიუ ჰოსპიტალსი“
5. შპს „წმინდა მიქაელ მთავარანგელოზის სახელობის მრავალპროფილიანი კლინიკური საავადმყოფო“
6. კლინიკა შპს „ვივამედი“
7. ა(ა)იპ „საქართველოს საპატრიარქოს ფერისცვალების დედათა მონასტერთან არსებული მოწყალეების ცენტრი“
8. ა(ა)იპ „საქართველოს კარიტასი“
9. შპს „ № 5 კლინიკური საავადმყოფო“

18. ინფორმაცია მოდულის ელექტრონული სწავლების შესაძლებლობის შესახებ წარმოდგენილია დანართში N 45 (ინფორმაცია დაშვების წინაპირობებისა და ელექტრონული/დისტანციური სწავლების შესაძლებლობის შესახებ).

19. საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება სამუშაოზე დაფუძნებული (კოოპერაციული) სწავლების ფორმით

**დანართები:**

**ზოგადი მოდულები**

- დანართი № 1 - მოდული - საინფორმაციო ტექნოლოგიები - საექთნო საქმეში
- დანართი № 2 - მოდული - კომუნიკაცია საექთნო საქმეში
- დანართი №3 - მოდული - უცხოური ენა - საექთნო საქმეში (ინგლისური ენა)

**თეორიული სწავლება - საბაზო მეცნიერებები**

- დანართი № 4 - მოდული - ჰისტოლოგია
- დანართი №5 - მოდული - ბიოქიმია
- დანართი №6 - მიკრობიოლოგია
- დანართი № 7 - მოდული - ანატომია-ფიზიოლოგია

დანართი № 8 - მოდული - პათოლოგია (პათანატომია-პათფიზიოლოგია)

**თეორიული სწავლება საექთნო საქმე**

დანართი № 9 - მოდული - დოზირების პრინციპები საექთნო საქმეში

დანართი №10 - მოდული - ფარმაკოლოგია

დანართი №11 - მოდული - ტერმინოლოგია და დოკუმენტაცია საექთნო საქმეში

დანართი №12 - მოდული - ინფექციის კონტროლის საფუძვლები

დანართი №13 - მოდული - გერონტოლოგია და გერიატრიის საფუძვლები

დანართი №14 - მოდული - ქირურგიული პაციენტის საექთნო მართვის საფუძვლები

დანართი №15 - მოდული - თერაპიული პაციენტის საექთნო მართვის საფუძვლები

დანართი №16 - მოდული - გადაუდებელი პაციენტის საექთნო მართვის საფუძვლები

დანართი №17 - მოდული - კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექთნო მართვის საფუძვლები და ანესთეზია

დანართი №18 - მოდული - სამეანო და გინეკოლოგიური პაციენტის საექთნო მართვის საფუძვლები

დანართი №19 - მოდული - პედიატრია და მოზარდები

დანართი №20 - მოდული - ფსიქიკური ჯანმრთელობა და ფსიქიატრია

**თეორიული სწავლება სოციალური მეცნიერებები**

დანართი №21 - მოდული - საექთნო პრაქტიკის პრინციპები სხვადასხვა ტიპის სამედიცინო დაწესებულებებში

დანართი №22 - მოდული - სამართლებრივი ასპექტები საექთნო საქმეში

დანართი №23 - მოდული - საექთნო მენეჯმენტის საფუძვლები

**პროფესიული მოდულები - პრაქტიკული სწავლება**

დანართი №24 - მოდული - ავადმყოფის მოვლა

დანართი №25 - მოდული - შინმოვლა

**პროფესიული მოდულები - კლინიკური სწავლება**

დანართი №26 - მოდული - კლინიკური პრაქტიკა - ქირურგიული პაციენტის საექთნო მართვა;

დანართი №27 - მოდული - შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - ქირურგიული პაციენტის საექთნო მართვა;

დანართი №28 - მოდული - კლინიკური პრაქტიკა - თერაპიული პაციენტის საექთნო მართვა;

დანართი №29 - მოდული - შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - თერაპიული პაციენტის საექთნო მართვა

დანართი №30 - მოდული - კლინიკური პრაქტიკა - გადაუდებელი პაციენტის საექთნო მართვა

დანართი № 31 - მოდული - შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - გადაუდებელი პაციენტის საექთნო მართვა

დანართი №32 - მოდული - კლინიკური პრაქტიკა - კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექთნო მართვა

---

დანართი № 33 - მოდული - შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექთნო მართვა  
დანართი №34 - მოდული - კლინიკური პრაქტიკა - სამედიცინო და გინეკოლოგიური პაციენტის საექთნო მართვა  
დანართი №35 - მოდული - შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - სამედიცინო და გინეკოლოგიური პაციენტის საექთნო მართვა  
დანართი №36 - მოდული - კლინიკური პრაქტიკა- პედიატრია და მოზარდები  
დანართი №37 - მოდული - შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - პედიატრია და მოზარდები  
დანართი №38 - მოდული - კლინიკური პრაქტიკა - ფსიქიკური ჯანმრთელობა და ფსიქიატრია  
დანართი №39 - მოდული - შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - ფსიქიკური ჯანმრთელობა და ფსიქიატრია

### **ქართული ენა**

დანართი № 40 - მოდული - ქართული ენა A2  
დანართი № 41 - მოდული - ქართული ენა B1

დანართი № 42 - ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შესახებ  
დანართი № 43 - სასწავლო გეგმა  
დანართი № 44 - მატერიალური რესურსის ჩამონათვალი  
დანართი N 45 - დაშვების წინაპირობებისა და ელექტრონული სწავლების შესაძლებლობის შესახებ